თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 24 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) – „ზენიტი“ (ლენინგრადი) 0:1 (0:1).

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, გურული, კაკილაშვილი, სვანაძე (რევიშვილი, 72), სულაქველიძე, უგრელიძე (ცაავა, 68), მიქაბერიძე, მესხი.

„ზენიტი“: პრიხოდკო, დავიდოვი, კუზნეცოვი, ტიმოფეევი, ბარანიკი (ვედენეევი, 50), ლარიონოვი, ათანასიევი, ჟელუდკოვი, ჩუხლოვი, კანიშჩევი, კლემენტიევი (სალენკო, 74).

მსაჯი ვ. აბგოლცი (ალმა–ათა).

გოლი: ჟელუდკოვი (31).

გოლი: ჟელუდკოვი (31).

გააფრთხილეს ჩუხლოვი.

დუბლიორები – 2:2.

გუშინწინდელ მეტოქეთა პირველი წრის შეხვედრა, რომელიც ამ სამიოდე თვის წინათ ლენინგრადში გაიმართა, მასპინძლების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა – 3:0. სხვათა შორის, „ზენიტმა“ შარშანაც ამავე ანგარიშით მოუგო თბილისის „დინამოს“, მაგრამ მაშინ დინამოელებმა ამ მარცხისთვის რევანში აიღეს. წლეულს კი...

„ზენიტი“ ზუსტად იმავე შემადგენლობით გამოვიდა „დინამოს“ სტადიონის მინდორზე, რომლითაც სამი დღით ადრე ქუთაისის „ტორპედო“ დაამარცხა. თბილისელებმა კი „ჟალგირისთან“ ჩატარებულ წინა მატჩთან შედარებით თავიანთ გუნდში მცირეოდენი კორექტივები შეიტანეს: ჩელებაძისა და ცაავას ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში ვიხილეთ უგრელიძე და მიქაბერიძე. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ცაავა მეორე ტაიმში მაინც გამოვიდა მინდორზე, მაგრამ დინამოელებმა ქულა ვეღარც მისი მონდომებით გადაარჩინეს.

პირველ 15 წუთში (მე–2 , მე-10 და მე-14 წუთებზე) სტუმრებმა სამი სახიფათო იერიში განახორციელეს, მაგრამ თბილისელებმა სამივე მათგანს არანაკლებ სახიფათო შეტევებით უპასუხეს. მასპინძლები მიზანთან განსაკუთრებით ახლოს იყვნენ მე-11 წუთზე, როცა მესხის ძლიერი საჯარიმო დარტყმა კუთხურზე ძლივს მოიგერია პრიხოდკომ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ მატჩში მეკარეებს მაინცდამაინც ბევრი სამუშაო არ ჰქონიათ, რაც თავდამსხმელთა უფერული თამაშის ბრალი უფროა, ვიდრე მცველების მაღალი ოსტატობისა. ამის მტკიცების უფლებას გვაძლევს ის მომენტები, როცა მცველების შეცდომების შედეგად მოიერიშეები ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე და ამ შესაძლებლობას ვერ იყენებდნენ. იშვიათი იყო შერეული დარტყმები და მეტოქეთაგან თუ ვინმე მაინც გაბედავდა შორი მანძილიდან დარტყმას, ბურთი, როგორც წესი, კარს სცდებოდა.

გამონაკლისი გახლდათ ჟელუდკოვის მიერ 31-ე წუთზე შესრულებული საჯარიმო. დაახლოებით 24-25 მეტრიდან დარტყმულმა ბურთმა თავს ზემოთ გადაუფრინა თბილისელ მცველებს და მარჯვენა „ცხრიანში“ გაეხვია. დარტყმა იმდენად უნაკლო იყო, ძნელად თუ მოუტრიალდება ვინმეს ენა, გაბელია დაადანაშაულოს. სწორედ ამ გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. შესვენების შემდეგ დინამოელები, რაც მართალია, მართალია, ძალზე ბევრს ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ „ზენიტის“ კარი თამაშის ბოლომდე ხელუხლებელი დარჩა. მასპინძლებს რამდენიმეჯერ მაინც მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან მეორე ტაიმში ლენინგრადელებმა მეტოქეს მთლიანად დაუთმეს მინდვრის შუაგული და მას საკუთარ საჯარიმოსთან მოახლოების საშუალებას აძლევდნენ. ასეთ ვითარებაში კი თითქმის გარდაუვალია საგოლე მომენტები. სხვა საქმეა, რომ ამ მომენტებს გამოყენება უნდა. მათგან ყველაზე რეალური იყო სიტუაცია, რომელიც 62-ე წუთზე შეიქმნა სტუმართა კართან: ჭედია პრიხოდკოსთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ამ „დუელში“ ლენინგრადელმა მეკარემ იმარჯვა. სახიფათო იყო მესხის ძლიერი დარტყმაც, რომელიც პრიხოდკომ კუთხურზე მოიგერია (მე-80 წუთზე).

თბილისელთა შეტევები განსაკუთრებით გახშირდა თამაშის ბოლო 20 წუთში. მათ მარცხის მოახლოებული საფრთხე იგრძნეს და თითქმის მთელი გუნდით გადავიდნენ იერიშზე. სამწუხაროდ, ამ იერიშებს აკლდა სიზუსტე, ფანტაზია, სისწრაფე...

დავით კაკაბაძე
ლელო 26.07.1986